



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 605

22 ნოემბერი
“ --- ” ----- 2024 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, №58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.14.09.004.038) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 ნოემბრის № 24.1920.2148 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, №58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.14.09.004.038) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01242912149-67 (№0124306277-67; №01243063609-67; №01243113563-67; №01243133077-67; №01243161681-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს აღნიშნული განკარგულების გამოცემის შემდგომ, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს.

4. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1920.2148
14 / ნოემბერი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.038) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 17 ოქტომბრის N01242912149-67 (N 0124306277-67; N01243063609-67; N01243113563-67; N01243133077-67; N01243161681-67) განცხადებით მიმართა ზურაბ მექვაბიშვილმა (პ/ნ: 61001025751) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.038) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.038) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის საერთო ფართობია 41611 კვ.მ. აქედან რეგისტრირებული: 40 500; დაურეგისტრირებული 1111 კვ.მ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N543 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით- სატყეო ზონა.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი მიზნად ისახავს ორი ფუნქციური დანიშნულებით განვითარებას, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სპეციალური ზონა 1 -ით(სპეცზ-1). ასევე, ნარჩუნდება სატყეო ზონა.

გამოყენების სახეობა: საცხოვრებელი, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი.

კომპლექსში დაგეგმილია კომერციული დანიშნულების ობიექტების განთავსებაც, არაუმეტეს 25%-ისა.



ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატყეო ზონა და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ით, სადაც მოეწეება საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსი;

შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) - 41 611 კვ.მ, კერძო 40 500კვ.მ, დაურეგისტრირებელი 1 111 კვ.მ;

სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) -1;

შენობების რაოდენობა - 3 შენობა, 4 ბლოკი;

შენობა-ნაგებობების მინ. და მაქს. სართულიანობა - 3-9;

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), სატყეო ზონა;

სექტორი N1:

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) - 3 052 კვ.მ.

კ-1= 0,8 - 2400 კვ.მ.

კ-2= 4,9 - 14 900კვ.მ.

კ-3 = 0,2 - 611 კვ.მ.

საუნივერსიტეტო კომპლექსი

მაქსიმალური სიმაღლე -46.12 მ

მაქსიმალური სართულიანობა- 9 სართ.

სავალდებულო ავტოსადგომის ოდენობა- 50, განთავსდება მიწის ქვეშ.

საცხოვრებელი ზონა 6 სზ-6 - 14 000 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 7620 კვ.მ.

კ-2= 2,5 - 35 6000 კვ.მ.

კ-3 = 0,3 - 4200 კვ.მ.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

მაქსიმალური სიმაღლე - 46.65 მ

მაქსიმალური სართულიანობა - 9 სართული

(C ბლოკი- სართულიანობა - 3-4; სიმაღლე: 20მ

A,B ბლოკი- სართულიანობა - 7-9; სიმაღლე: 46.65მ)

ავტოსადგომები განთავსდება მხოლოდ მიწისქვეშ.

სატყეო ზონა - 23 448 კვ.მ

სექტორი N2

სატყეო ზონა - 1111 კვ.მ.

დაურეგისტრირებელი სივრცის არეალში შეყვანა განაპირობა საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული კვანძის მოწყობის მიზნობრიობამ.

საპროექტო არეალი მდებარეობს დაბალი და მაღალი რისკის გეოდინამიკურ არეალში, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია დეტალური გეოლოგიური კვლევა.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისი N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16³ მუხლის შესაბამისად, სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) ცვლილებისთვის გათვალისწინებულია მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება.

შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს N61-01242671495 (23/09/2024) წერილის შესაბამისად მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილებისთვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გადასახდელი შესაბამისი თანხის ოდენობის განსაზღვრა (3 150 000 ლარი).

განაშენიანების რეგულირების წესების 16³ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდგომ, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულ ვადაში ფასის გადახდა წარმოდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის საფუძველს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) განაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის N01243163664 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 11 ნოემბრის N01243163790 წერილის შესაბამისად, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 2 თებერვლის N61-01240333701 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.038) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01242912149-67 (N 0124306277-67; N01243063609-67; N01243113563-67; N01243133077-67; N01243161681-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.038) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი და საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს შესაბამისი ფასის გადახდა, განაშენიანების რეგულირების წესების 16³ მუხლის შესაბამისად.

3. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის

პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.


4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01243163664**
თარიღი: **11/11/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 11 ნოემბრის №01243161681-67 განცხადება, რომლებიც ეხება ქალაქ თბილისში, წყნეთის ვზატკეცილზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.09.004.038 და დაურეგისტრირებელი ტერიტორია; საპროექტო ფუნქციური ზონა: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); სატყეო ზონის ფართობი = 24559 მ²; საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქეპსერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **50 ძირი (ს.კ: 01.14.09.004.038 - №188, 209, 236, 305, 306, 320, 344, 611, 695, 708, 753-754, 934, 946, 948, 991, 996, 1004, 1008, 1055, 1238, 1369, ს.კ: 01.14.09.004.038-ის მიმდებარედ - №8-9, 11, 17, 21, 32, 36-37, 39, 41- 42, 53, 69, 73, 82, 102, 121-122, 124-125, 128, 131, 136, 137, 139, 141, 144, 149)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი ჯანსაღი მწვანე ნარგავების რაოდენობა არცერთ მიწის ნაკვეთზე არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქეპსერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი **189 ძირი (ს.კ: 01.14.09.004.038 - №228, 260, 265, 393, 508, 517, 523, 525, 530, 569, 688, 697, 705-707, 711, 714-716, 718-721, 723-742, 744, 756, 773-786, 866, 874, 898-901, 912, 916, 917, 922, 1000, 1005, 1009, 1011, 1012, 1026, 1028, 1039, 1228, 1255-1258, 1275-1285, 1291-1301, 1303, 1363, 1571, 1608, 1749-1800, 1987, 1991, 2681-2686, 2695-2698, 2700-2701; ს.კ: 01.14.09.004.038-ის მიმდებარედ - №3-6, 47, 57, 63, 66, 72, 75, 77, 87, 91, 95, 101, 105, 109-110, 113, 127, 130, 132, 134, 138)** ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქეპსერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/ავარიული/ფაუტი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **38 ძირი (ს.კ: 01.14.09.004.038 - №180, 193, 194, 195, 196, 197, 207, 208, 210-219, 248, 252- 258, 263,267, 269, 324, 325, 573-576, 584, 599, 600)** ხმობადი/წვერხმელი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქეპსერტო დასკვნაში აღწერილი **1071 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს, შესაბამისად დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **1071 ძირი (ს.კ: 01.14.09.004.038 - №161- 166, 170-178, 181-186, 189-192, 198-206, 220-227, 229-235, 237-247, 249-251, 259, 261-262, 264, 266, 268, 270, 276-293, 296-304, 307-317, 321-323, 326-343, 346-347, 349-350, 352-392, 394-444, 451-477, 479-507, 509-515, 518-522, 524, 526-529, 531-534, 536-545, 548, 550-554, 556-568, 570- 571, 603-610, 687, 689-690, 693-694, 696, 698, 700-704, 709-710, 712-713, 717, 722, 755, 757, 759- 760, 762-766, 769-770, 793-794, 834, 843-847, 852-854, 855-858, 862-865, 867-873, 875-880, 885- 897, 906-911, 913, 915, 918-921, 923-933, 935-939, 942-945, 947, 949-958, 960-968, 975-990, 997- 999, 1001-1003, 1006-1007,**

1010, 1013-1014, 1017, 1023-1025, 1027, 1029, 1033-1038, 1040-1047, 1053, 1054, 1056-1057, 1218-1221, 1226-1227, 1229-1235, 1239-1254, 1274, 1302, 1364-1368, 1370-1377, 1528-1529, 1541-1546, 1559-1570, 1572-1607, 1609-1748, 1801-1822, 1824-1918, 1920- 1941, 1944- 1986, 1988-1990, 2678-2680, 2687-2689, 2691, 2694, 2699, 2703-2728, 2730-2738, **ს.კ: 01.14.09.004.038-ის მიმდებარედ** - №1-2, 7, 10, 12-13, 35, 40, 43, 45-46, 49-52, 54, 59, 70-71, 74, 76, 78-81, 83-86, 88-90, 92-94, 96-100, 103-104, 106-108, 111-112, 114-115, 120, 123, 126, 133, 135, 140, 142-143, 145, 148, 167) მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **22 ძირი (ს.კ: 01.14.09.004.038 - №187, 586-588, 591-598, 602, 699, 768, 884, 940, 1236-1237, 1823, 2702, 2729)** გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 2480 ძირი) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (4811 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწეობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01243163790

თარიღი: 11/11/2024

2024 წლის 11 ნოემბრის N 01243161681-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე N58-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.09.004.038) საუნივერსიტეტო და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 19 ივლისის N 01242013088-67 განცხადების პასუხად N 01242052827 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თხზმობის წერილებთან ერთად.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01242671495**
თარიღი: **23/09/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში შემოსული თქვენი 2024 წლის 22 ივლისის 16-01242043728 წერილის პასუხად გიგზავნით სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 20 სექტემბრის N006609724 დასკვნას და გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, N58-ში მდებარე 40 500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი №01.14.09.004.038) 14000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) შეცვლისა და ფუნქციური ზონის კონფიგურაციის ცვლილების გათვალისწინებით დადგენილ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა განისაზღვრა - 3 150 000 ლარით.

დანართი: 10 (ათი) გვერდი

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



